ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 35

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 23" აპრილი 2015 წ.

ერთის მხრივ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქ.ბორჯომი კოსტავას ქ.№3) დირექტორი ნ.ხოლუაშვილი, შემსყიდველი"

და მეორეს მხრივ შ.პ.ს „ბათუმის იახტ-კლუბი" ფირცხალაიშვილი დავითი *(მისამართი --ქ.ბათუმი, ლერმონტოვის ქ.№1 სახით* (შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტის დასახელება

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ---------- სავიზო მომსახურება და ბილეთების შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ღირებულება (თანადაფინანსება) შეადგენს 6200 (ექვსიათას ორასი) ლარი *(შემდგომში „ხელშეკრულების ფასი").*

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 "მიმწოდებელი" ვალდებულია ----------ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს 25 აპრილამდე----------

3.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტი განხორციელდება 2015 წლის---------- ----------25 აპრილი----------

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება მოხდება ერთიანად გაწეული მომსახურების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარისწორების ფორმით.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ეტაპობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

5.3. წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარი გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 ხელშეკრილებით განსაზღვრული მომსახურება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს დროულად, ხარისხიანად, სათანადო გულისხმიერებით და სრულყოფილად ამავე ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

7. ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

"შემსყიდველი"---------- "მიმწოდებელი"----------

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე ააგებენ პასუხს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1 მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაცია;

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით

მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

18. გადასახადები და დაბეგვრა

18.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

19. ხელშკრულების მოქმედების ვადა

19.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2015 წლის ---
----------25 აპრილი----------

20. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

20.1 შემსყიდველს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

20.2 მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

20.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

ყოველივე ზემოხსენებულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს ხოლო ორი – შემსყიდველს.

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10 მუხლის მე-3 პუნქტისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" 23-ე მუხლის შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკებით.

"შემსყიდველი"
მხარეთა რეკვიზიტები: ბორჯომი კულტურისა და ხელოვნების ცენტრი
ქ.ბორჯომი კოსტავას ქ.№3 . სს „თიბისი ბანკი" ბანკის კოდი - TBCBGE22
"შემსყიდველი"– ----------
----------*ანგარიშწორების ანგარიში - GE12TB7402436020100002* ----------
---

"მიმწოდებელი" _____ / ნ.ხოლუაშვილი /

----------*ა/ნ GE04BG0000000614383800*--------*„სს საქართველოს ბანკი"*----------
---------*კოდი: BAGAGE22*----------*ს/ვ: 445425433*----------
---

"შემსყიდველი"_____ "მიმწოდებელი"_____

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ბორჯომი 28 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი

ნ.ხოლუაშვილი და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ბათუმის იახტ-კლუბი" –ის დირექტორი, დავით ფირცხალაიშვილი, (შემდგომში შემსრულებელი), მოქმედნი მხარეთა შორის 2015 წლის 23 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ვადგენთ რა წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ შემდეგ გარემოებას..

1.შემსრულებლის და დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებები შესრულებულია ხელშეკრულებითვე დადგენილი პირობების დაცვით.

2.შემსრულებელი გადასცემს, ხოლო დამკვეთი იღებს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელს, კერძოდ ლიტვის საელჩოში ვიზის მისაღებად დადგენილი საბუთების მომზადება, საელჩოში შეტანა, ბილეთების (საქართველო – ლიტვა – საქართველო) შეძენა.

3.დამკვეთი ადასტურებს, რომ შემსრულებლის მიერ მიწოდებული საქონელი (ან მომსახურება) ნივთობრივად უნაკლოა და შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

4.შემსრულებელი ადასტურებს, რომ მიწოდებული საქონელი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა და დამკვეთის მიერ სრულადაა ანაზღაურებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს (ან მომსახურების) ღირებულება 6200 (ექვსიათას ორასი) ლარის ოდენობით.

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ბორჯომი კულტურისა და	შ.პ.ს. „ბათუმის იახტ-კლუბი"
ხელოვნების ცენტრის დირექტორი:	დირექტორი:
ნუნუ ხოლუაშვილი	დავით ფირცხალაიშვილი

შ.პ.ს „ბათუმის იახტ-კლუბი“

ანგარიშის ნომერი GE04BG0000000614383800

მიმღები ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

კოდი: BAGAGE22

საინდენტიფიკაციო კოდი: 445425433

ინვოისი

№ 03/015

ა(ა)ი.პ „ბორჯომოს კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“
გადამხდელი

23.04.2015

საზომი ერთეული	რაოდენობა	ღირებულება	დასახელება	თანხა
ერთჯერადი	-	6200ლარი	მომსახურება (სავიზი დოკუმენტაციის მომზადება, ბილეთების შეძენა)	6200 ლარი (ექვსიათასორასი)

დირექტორი: დავით ფირცხალაიშვილი